საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION
NEWS ივლისი 2015
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

## ერგნეთის პროექტის პრეზენტაცია

დღეს პროექტის "ერგნეთში (ქვემო ქართლი) დაბრუნებული პირების საცხოვრებელი და საარსებო წყაროების აღდგენა" შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა. შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით ლტოლვილთა დანიის საბჭოს მიერ სოფელ ერგნეთში 2011-2015 წლებში განხორციელებული პროექტის მიზანი კონფლიქტით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი და სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ადგილზე რეინტეგრაცი ის მხარდაჭერა იყო. გარდა საცხოვრებელი სახლების აღდგენისა, პროექტი ითვალისწინებდა საარსებო წყაროდ საჭირო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. მოსახლეობის მიერ ასეთად დასახელდა სათემო ინფრასტრუქტურა - სოფლის საირიგაციო სისტემა. აღნიშნული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს და საქართველოს მთავრობის ფინანსური რესურსების ერთობლივი კონსოლიდაციით სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს "საქართველოს მელიორაციამ" ჩაატარა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ციხელაშვილმა, რომელმაც პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ,,დღეს არის პროექტის დასკვნითი პრეზენტაცია, რომელიც განახორციელა შვეიცარიის განვითარების ოფისმა და დანიის ლტოლვილთა საბჭომ. ეს პროექტი ხორციელდებოდა სოფელ ერგნეთში და ემსახურებოდა ომის შედეგად დაზარალებული ოჯახების დაბრუნებასა და ადგილზე ინტეგრაციის მხარდაჭერას. სახელმწიფოს პრიორიტეტია მოსახლეობის ადგილზე დამაგრება, მათი საჭიროებების დაკმაყოფილება და შემდგომ უკვე რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარება", განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა. პროექტის დასკვნითი პრეზენტაცია წარადგინა დანიის ლტოლვილთა საბჭოს წარმომადგენელმა გაი ჰუვიმ, რომელმაც მადლობა გადაუხადა შპს „საქართველოს მელიორაციას" ერგნეთში ჩატარებული სამუშაოებისათვის. ერგნეთის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის, შპს „საქართველოს მელიორაციის" მიმდინარე პროექტების შესახებ ისაუბრა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ლევან დვალმა: „ერგნეთში განხორციელებული პროექტი ძალიან წარმატებული იყო, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ვითანამშრომლოთ დონორ ორგანიზაციებთან, რაც მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების განხორციელებისას მაქსიმალურად ეფექტური შედეგების მისაღებად. საქართველოს მთავრობამ დაახლოებით 200 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში მელიორაციის დარგის რეაბილიტაციის მიზნით. შედეგად წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამურნეო მიწების ფართობი საქართველოში გაორმაგებულია. საირიგაციო სისტემის აღდგენის ყოველი პროექტი ხელს უწყობს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას" - აღნიშნა ლევან დვალმა.

## მობილური მელიორაციის სამსახური

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციაში“ შეიქმნა მობილური მელიორაციის სამსახური. მობილური მელიორაცია გადასატანი სატუმბი სადგურების გამოყენებას გულისხმობს. შესაძლებელი გახდა ისეთი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების წყლით უზრუნველყოფა, რომელთაც წყალი სატუმბი ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის გამო შეფერხებით მიეწოდებოდა. მობილური სატუმბი სადგურებით წყალუზრუნველყოფა მოხდება აგრეთვე საირიგაციო სისტემებში წყალნაკლულობის და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს. შპს „საქართველოს მელიორაციის“ მობილური მელიორაციის სამსახურში დღეისათვის 10 გადასატანი სატუმბი სადგური ირიცხება და მომავალში იგეგმება მათი რიცხვის გაზრდა.

## ლეჟბადინის სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია

შპს „საქართველოს მელიორაციამ“ ქვემო ქართლის რეგიონში ლეჟბადინის სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია დაასრულა. ამჟამად მიმდინარეობს სატუმბი სადგურის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის სამუშაოები. სამუშაოების დასრულების შემდეგ ლეჟბადინის, II ქესალოს და სოფელ მუღალოს ნაწილის დაახლოებით 1400 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გახდება წყალუზრუნველყოფილი. სოფელ მუღალოს დანარჩენი ნაწილის წყალუზრუნველყოფა ხდებოდა მექანიკური აწევის მეშვეობით, რასაც მოსახლეობა საკუთარი ძალებით ახორციელებდა.

## დმანისის მუნიციპალიტეტში სამარხები და სამაროვნები აღმოაჩინეს

დღეს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადთან და სოფელ ბოსლების მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნამოსახლარები და სამაროვნები დაათვალიერეს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციის" მიერ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის და სოფელ ბოსლების მიმდებარე ტერიტორიაზე სარწყავი სისტემის რეაბილიტაციისას წარმოებული მიწის სამუშაოების დროს მიკვლეულ იქნა სამაროვნების კვალი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ობიექტის შესწავლის შემდეგ აღმოჩენილ იქნა გვიანანტიკური პერიოდის და ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარები და სამაროვნები. მათგან აღსანიშნავია მდინარე მაშავერას მარცხენა ნაპირზე, ადგილ ყანჩაანთ სოფელში აღმოჩენილი ორი სამაროვანი, სადაც იმ დროისათვის შეძლებული ადამიანები იყვნენ დაკრძალულნი. ორმოსამარხებში ჩატანებული აღმოჩნდა: სხვადასხვა ფერისა და ფორმის მინის სანელსაცხებლები, ბრინჯაოს ზარაკები, ირმის ქანდაკებები, საკიდები, ბეჭდები, ოქროს საკიდი და საყურეები, ვერცხლის რომაული მონეტები, რკინის საბრძოლო იარაღები და თიხის ჭურჭელი.

"ქვემო ქართლის რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს სამელიორაციო სამუშაოები. დმანისი-განთიადის მონაკვეთზე მუშაობისას სასიამოვნო მოულოდნელობის წინაშე აღმოვჩნდით. დავაფინანსეთ ექსპედიცია, რომლის შედეგადაც უნიკალური ნიმუშები აღმოჩნდა - დაახლოებით I-IV საუკუნეებით დათარიღებული ნივთები. შესწავლა დაწყებულია და თუ საჭირო აღმოჩნდა ექსპედიცია გაგრძელდება. ასევე აღსანიშნავია, რომ სამელიორაციო სამუშაოები არ შეფერხებულა და დასრულებული პროექტის შედეგად, ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობამ 30 წლის შემდეგ მიიღო სარწყავი წყალი და უნიკალური კულტურული აღმოჩენა"- განაცხადა ოთარ დანელიამ. „სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარწყავი სისტემების აღდგენის დროს აღმოჩნდა ნამოსახლარი - უძველესი სამაროვნები I-IV საუკუნეების. როგორც მასალა მოწმობს, ამ ტერიტორიაზე ძალიან განვითარებული დასახლება იყო. აღმოჩენილია ოქროსა და ვერცხლის ნივთები, მონეტები, სხვადასხვა სახის სამკაულები, სამეურნეო და საბრძოლო იარაღი, ნელსაცხებლები. დასტურდება, რომ დასახლება იყო ძალიან მდიდარი. მუშავდება გეგმა ახალი ექსპედიციის და ვფიქრობთ დაუზიანებელ სამარხებთან ერთად კიდევ უფრო მეტი მასალა იქნება აღმოჩენილი, რაც კვლევის კიდევ უფრო მეტ საშუალებას მოგვცემს" - განაცხადა მიხეილ გიორგაძემ. მოპოვებული მასალის მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ დმანისის რეგიონში, იმ დროისათვის საკმაოდ განვითარებული და სოციალურად დაწინაურებული საზოგადოება ცხოვრობდა, რომელსაც მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური კავშირები ჰქონდა, როგორც საქართველოს რეგიონებთან, ასევე რომთან და სირიასთან. აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები, სავარაუდოდ, ახალი წელთაღრიცხვის I-IV საუკუნეებით თარიღდება.

## ქობულეთის დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ახორციელებს ქობულეთის დამშრობი სისტემების რეაბილიტაციას. სამუშაოები მიმდინარე წლის მარტში დაიწყო და 2016 წლის მაისში დასრულდება. გაიწმინდება 25 კმ. დამშრობი არხი, გარემონტდება სისტემის ჰიდროტექნიკური ნაგებობები. მოხდება სატუმბი სადგურის რეკონსტრუქცია. მიმდინარე სარეაბილიტაციო ღონისძიებების შედეგად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის 9 სოფლის 460 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი იქნება დამშრალი. აღნიშნული ფართობით ისარგებლებს 8 000-მდე მოსახლე. პროექტის ღირებულებაა 2 150 400 ლარი.

## კახეთის რეგიონის სამსახურს 44 ერთეული სამელიორაციო ტექნიკა გადაეცა

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ, კახეთის გუბერნატორ ირაკლი შიოლაშვილთან და შპს „საქართველოს მელიორაციის" გენერალურ დირექტორთან, ლევან დვალთან ერთად, „საქართველოს მელიორაციის" კახეთის რეგიონულ სამმართველოს ჩინური გრანტის ფარგლებში მიღებული სპეციალური ტექნიკის 44 ერთეული გადასცა. აღნიშნული სპეციალური ტექნიკა საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების ეფექტიანად და ოპერატიულად განხორციელებას შეუწყობს ხელს.